1)

ცნობილია, რომ 1ლიტრი = 1კუბურ დეციმეტრს. ლაშას აკვარიუმის ზომებია 30 სმ X 1,2 მ X 50 სმ. რამდენი ლიტრი წყალი დასჭირდება ლაშას აკვარიუმის ასავსებად?

ა) 1800 ბ) 180 გ) 18 დ) 1,8

2)

მრავალწახნაგას აქვს 5 წახნაგი და 6 წვერო. რამდენი წიბო აქვს ამ მრავალწახნაგას?

ა) 6 ბ) 4 გ) 9 დ)10

3)

$a(5{,}2 + 1{,}2) \cdot 2$ გამოსახულების ტოლი გამოსახულებაა:

ა) $12{,}8a$

ბ) $a \cdot 5{,}2 + 2{,}4$

გ) $10{,}4a + 2{,}4$

დ) $(a \cdot 5{,}2 + 1{,}2) \cdot 2$

4)

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი წინადადებაა სწორი?

ა) რიცხვითი მონაცემების საშუალო აღემატება უდიდეს მონაცემს

ბ) რიცხვითი მონაცემების საშუალო არ აღემატება უდიდეს მონაცემს

გ) რიცხვითი მონაცემების საშუალო უმცირესს მონაცემზე ნაკლებია

დ) რიცხვითი მონაცემების საშუალო ყოველთვის უმცირესი მონაცემის ტოლია.

LIVEWORKSHEETS

5)

მეცნიერებმა აღმოაჩინეს მცენარის ახალი სახეობა. იმისათვის, რომ შეისწავლონ მცენარე მათ უნდა

ა) მოიძიონ ინფორმაცია ინტერნეტში ამ მცენარის შესახებ

ბ) მოახდინონ დაკვირვება მცენარეზე

გ) ჩაატარონ გამოკითხვა

დ) მოიძიონ ინფორმაცია ამ მცენარის შესახებ ცნობარებში

6)

მოცემულია ორ ცვლადს შორის დამოკიდებულება: $\mathbf{Y = 2\ X + 7}$.

X	**15**
Y	

შეავსე ცხრილის ცარიელი უჯრა.

7)

ამოცანის ამოსახსნელად შედგენილია განტოლება: $2\boldsymbol{x} + 3(\boldsymbol{x} - 5) = 25$. რა რიცხვით უნდა შეიცვალოს 25, რომ განტოლების ამონახსნი ორით გაიზარდოს?

ა) 27; ბ) 30; გ) 35; დ) 37.

LIVEWORKSHEETS

8) 0 , 125-ის ტოლი წილადია:

ა) $\frac{125}{100}$ ბ) $\frac{5}{4}$ გ) $\frac{1}{4}$ დ) $\frac{1}{8}$

9) ათწილადში მძიმის მარჯვნივ მდგომი მეორე ციფრი აღნიშნავს

ა) ერთეულს
ბ) ასეულს
გ) მეათედს
დ) მეასედს


10) რომელი უტოლობაა სწორი?

ა) $0,85 < 0,58$
ბ) $0,97 < 0,79$
გ) $0,23 > 0,32$
დ) $0,64 > 0,46$

LIVEWORKSHEETS

11)

მშენებელი აშენებს აგურის კედელს. მან გადაწყვიტა აგურის ყოველ ფენას მიაწეროს ის რიცხვი რომელიც მიანიშნებს თუ რა სიმაღლეზე იმყოფება მიწიდან ეს ფენა.



რა რიცხვი უნდა დააწეროს მშენებელმა აგურის მეშვიდე ფენას, თუ მესამე ფენას უკვე აწერია 0,75მ?

ა) 1,25 მ ბ) 1,5 მ გ) 1,75 მ დ) 7 მ

12)

ცხრილში ჩაწერე ათწილადები წილადის სახით:

ათწილადი	0,7	20,01
წილადი		

13)

რიცხვები $\frac{29}{9}$; $3\frac{1}{9}$; $4\frac{1}{9}$ დაალაგეს კლებადობით. რომელი პასუხია სწორი?

ა) $\frac{29}{9}$; $3\frac{1}{9}$; $4\frac{1}{9}$ ბ) $3\frac{1}{9}$; $\frac{29}{9}$; $4\frac{1}{9}$ გ) $4\frac{1}{9}$; $\frac{29}{9}$; $3\frac{1}{9}$; დ) $4\frac{1}{9}$; $3\frac{1}{9}$; $\frac{29}{9}$

LIVEWORKSHEETS

14)

მოცემულია ციფრები: 0; 1; 3; 5; 7; 9. ყველა ამ ციფრის გამოყენებით შეადგინე უდიდესი ექვსნიშნა რიცხვი.

პასუხი ჩაწერე ცარიელ უჯრაში:

15)

2

რის ტოლია 0,6–ის $\frac{1}{5}$ ნაწილი?

ა) $\frac{2}{25}$ ბ) $\frac{3}{25}$ გ) 1,2 დ) 3

16)

როგორ შეიცვლება სამკუთხედის პერიმეტრი, თუ მის ყველა გვერდს შევამცირებთ 2 – ით?

პასუხი ჩაწერე ცარიელ უჯრაში:

LIVEWORKSHEETS

17)

მოცემულია ცხრილი:


x	3	4	7
$7x - 3$	18		46

ცხრილის ცარიელ უჯრაში ჩაწერე შესაბამისი რიცხვი.

18)

ასახელებს სივრცული ფიგურის შესაძლო ტიპს მისი მოცემული გეომეტრიული ატრიბუტების მიხედვით

შემოხაზე ფიგურა, რომლის ფუძე ოთხკუთხედია.



ა) ბ) გ) დ)

LIVEWORKSHEETS

19)

4 ტონა ბეტონის ნარევი, 0,8 ტონა ცემენტს შეიცავს, რამდენ ტონა ცემენტს შეიცავს 3 ტონა იგივე ბეტონის ნარევი?

ა) 2,3 ტ ბ) 0,8ტ გ) 0,6ტ დ) 0,2ტ

20)

შეიძლება თუ არა ორთვლიანი ველოსიპედის ბორბლების ცენტრებს შორის მანძილი იყოს 80 სანტიმეტრის ტოლი, თუ თითოეული ბორბლის რადიუსია 30 სმ?


ამოხსნა ჩაწერა აქ:

პასუხი:_____

LIVEWORKSHEETS

21)


ააგე მოცემული ABCD კვადრატის სიმეტრიული კვადრატი მოცემული ღერძის მიმართ.



LIVEWORKSHEETS

22)

მოცემულია ABCD ოთხკუთხედი:



გაავლე ABCD ოთხკუთხედის სიმეტრიის ღერძი;


პასუხი დაასაბუთე.

ამოხსნა დაწერე აქ: _____

LIVEWORKSHEETS

23)

ABCD და MNKL ოთხკუთხედები ღერძულად სიმეტრიულია მოცემული ღერძის მიმართ.



დაადგინე რომელია ოთხკუთხედის ფართობია ნაკლები:

ა) ABCD ოთხკუთხედის ფართობია ნაკლები

ბ) MNKL ოთხკუთხედის ფართობია ნაკლები

გ) ოთხკუთხედების ფართობები ტოლია

დ) დადგენა შეუძლებელია

LIVEWORKSHEETS

24)

ნიკომ კვადრატული ფორმის თუნუქის ფურცელი, რომლის სიგრძე – სიგანე 6 მეტრია, დაჭრა სამ ტოლ ნაწილად. რამდენი კვადრატული მეტრია თითოეული ნაწილის ფართობი?

ა) 4 მ² ბ) 6 მ² გ) 12 მ² დ) 36 მ²

25)

ქვემოთ მოცემულია მათემატიკის ოლიმპიადაში მონაწილე ოთხი მოსწავლის მიერ 5 დავალებიდან თითოეულ დავალებაში აღებული საშუალო ქულა:

ანა – 1,4

ბესო – 2,4

გია – 2,2

დიანა – 2,6

ჩამოთვლილთაგან, რომელი მოსწავლის ჯამური ქულაა ყველაზე მაღალი?

ა) ანა ბ) ბესო გ) გია დ) დიანა

26)

მაქსიმუმ რამდენი სამნიშნა რიცხვის შედგენა შეიძლება ციფრებისაგან: 7 და 0 ?

ა) 3 ბ) 4 გ) 5 დ) 6

LIVEWORKSHEETS

27)

ჩამოთვლილი წინადადებებიდან რომელია მცდარი?

ა) ყოველი ნატურალური რიცხვი მთელია

ბ) ზოგიერთი მთელი რიცხვი არ არის ნატურალური

გ) ზოგიერთი ნატურალური რიცხვი არ არის მთელი

დ) ზოგიერთი მთელი რიცხვი ნატურალურია

28)

მოცემულია დებულება: „ორი მარტივი რიცხვის ჯამი ლუწი რიცხვია“. სამართლიანია, თუ არა ეს დებულება? პასუხი დაასაბუთე.

ამოხსნა დაწერე აქ:

პასუხი:_____

29)

ერთი რიცხვი 7-ჯერ მეტია მეორეზე. ამ რიცხვების ჯამი $4\frac{4}{7}$-ის ტოლია. შეადგინე გამოსახულება ამ რიცხვებიდან უმცირესის საპოვნელად და იპოვე ეს რიცხვი.

ამოხსნა დაწერე აქ:

პასუხი: _____

LIVEWORKSHEETS

30)

ცნობილია, რომ მოცემული წილადის განაყოფი უცნობ რიცხვზე ტოლია 2-ის. რომელია ჭეშმარიტი შემდეგთაგან:

I უცნობი რიცხვი ტოლია მოცემული რიცხვის გაორმაგებულის;

II უცნობი რიცხვი ტოლია მოცემული რიცხვის ნახევრის.

შემოხაზე სწორი პასუხი.

ა) ორივე ბ) არცერთი გ) მხოლოდ I

დ) მხოლოდ II

31)

40 მოსწავლიდან 15 მოსწავლისთვის წელიწადის საყვარელი დრო შემოდგომაა, 5-თვის – ზამთარი, 10-თვის – გაზაფხული, 10-თვის – ზაფხული. რამდენჯერ ნაკლებია ამ მონაცემების შესაბამისი წრიული დიაგრამის ზამთრის სექტორის გრადუსული ზომა შემოდგომის სექტორის გრადუსულ ზომაზე? შემოხაზე სწორი პასუხი.

ა) 4 -ჯერ ბ) 2 -ჯერ გ) 3 -ჯერ დ) 5 -ჯერ

32)

ოთახში რომლის სიგრძე $6\frac{2}{5}$ მ და სიგანე 4მ, უნდა გააკეთონ შეკიდული ჭერი პლასტმასის ფურცლებით ერთი ფურცელის ფართობია $1{,}25მ^2$. არანაკლებ რამდენი ფურცელია საჭირო შეკიდული ჭერის გასაკეთებლად ?

ა)24 ბ)20 გ)21 დ)25

LIVEWORKSHEETS